გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ბაზანდარაშვილის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 232 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში''. დავესწარი 9- სხდომას და მონაწილეობა მივიღე -156 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 7 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 9 საკითხი.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის- 9 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 77 საკითხი.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. მონაწილეობა მაქვს მიღებული გასვლით სხდომებსა და ტრენინგებში.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

სოფელი კარალეთი

- შიდა საუბნო გზების მოხრეშვა, გარეგანათების და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა. ,,დიდი ორღობე''-ს უბანში სანიაღვრე არხების მოწყობა. ასევე, სოფელში არსებული სკოლები საჭიროებენ სპორტულ დარბაზს, რომელიც კულტურული ან სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად აუცილებელია.

დიდი გარეჯვარი

- სარწყავი არხების გაწმენდა, N1 საჯარო სკოლასთან ხელოვნური უსწორმასწორობის მოწყობა. სავარგულებთან მისასვლელი გზების მოსწორება-მოხრეშვა, ცენტრალურ გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა.

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის ბიუჯეტში.

პატარა გარეჯვარი

- შიდა სანიაღვრე არხების მოწყობა, მინი სტადიონზე ხელოვნური საფარის შეცვლა,სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.

სათბურის დასახლება ( ნაჭარმაგევი)

- კორპუსებზე სახურავების შეკეთება, სასმელი წყლის პრობლემა ( შესაბამისი სამსახურები დაგეგმარების პროცესში არიან)

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ბაზანდარაშვილის
ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. კარალეთი 2022 წლის 17 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მამუკა ბაზანდარაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის გორის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მამუკა ბაზანდარაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მამუკა ბაზანდარაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მამუკა ბაზანდარაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022

წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მამუკა ბაზანდარაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ვიქტორ შავშიშვილმა,ბადრი გოგიაშვილმა, რევაზ ბაზანდარაშვილმა, არსენ ძამულაშვილმა, ნინო ზაზარაშვილმა და დალი ადუაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა;

საკრებულოს წევრი: მამუკა ბაზანდარაშვილი.